თბილისის "დინამო" - მესამე ადგილზე

(ტელეგრაფით ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

1-ლ ოქტომბერს მოსკოვში "დინამოს" სტადიონზე შედგა მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის "დინამო" და მოსკოვის "ტორპედო".

ეს მატჩი საინტერესო იყო იმით, რომ წყდებოდა ბედი, თუ ვინ დაიკავებდა მეორე ადგილს სსრ კავშირის პირველობის გათამაშებაში. მიუხედავად კოკისპირული წვიმისა სტადიონის ტრიბუნები მაყურებლებით გაივსო.

თამაში სწრაფი ტემპით დაიწყო, ორივე გუნდი გადამწყვეტ იერიშებზე გადადის. მეათე წუთზე ტორპედოელებმა შეძლეს ინიციატივის ხელში აღება და მე-13-ე წუთზე გახსნეს ანგარიში. მიუხედავად სასტიკი იერიშებისა, რომელიც თბილისის "დინამომ" მიიტანა მოწინააღმდეგის კართან, პირველი ტაიმი მაინც "ტორპედოს" სასარგებლოდ დამთავრდა ანგარიშით 1:0.

მეორე ტაიმში კიდევ უფრო გაცხოველდა თამაში. სახიფათო მომენტები იქმნებოდა ორივე კართან. მეშვიდე წუთზე ტორპედოს თავდამსხმელი ჟარკოვი, იყო რა თამაშგარეთ, მძლავრი ანგარიშით ადიდებს ანგარიშს. 6 წუთის შემდეგ პონომარიოვი საჯარიმო მოედნიდან ძლიერი დარტყმით გზავნის ბურთს თბილისელთა კარში/

თამაშს 15 წუთი აკლია. ანგარიშით 3:0 ტორპედოს სასარგებლოდ. სურათი უცებ იცვლება. თბილისელებმა უცებ იცვლება. თბილისელებმა მოიკრიბეს უკანასკნელი ძალღონე და გადამწყვეტი იერიშები მიიტანეს მოწინააღმდეგის კართან. მათ გაითამაშეს ლამაზი კომბინაცია, რაც ღოღობერიძემ გოლით დააგვირგვინა. ამის შემდეგ ტორპედოელთა მეკარე აკიმოვს ბევრი სახიფათო ბურთის აღება უხდება. მატჩის დამთავრებას 5 წუთი აკლდა, რომ თბილისელმა თავდამსხმელებმა ელვისებრი შეტევა მიიტანეს "ტორპედოს" კართან. ხარბედიამ მძლავრი დარტყმით მარცხენა ქვედა კუთხეში გაადიდა ანგარიში: 3:2 ტორპედოს სასარგებლოდ. თბილისელები არ ანელებენ თამაში ტემპს. მტკიცედ გადაწყვიტეს თამაშის მოგება და 3 წუთის შემდეგ არეშიძემ გაათანაბრა ანგარიში. ამან აღაფრთოვანა დინამოელები და კიდევ ერთხელ შეარხიეს ტორპედოს კარის ბადე, მაგრამ მსაჯმა იგი არ ჩათვალა. თამაშის დამთავრებას რამდენიმე წამი აკლდა, რომ მოსკოველებმა კორნერიდან მოწოდებული ბურთი გაიტანეს თბილისელთა კარში.

სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის გუნდი - "ტორპედო" გამარჯვებული სტოვებს სტადიონს.

ამრიგად, მეორე ადგილზე გამოვიდა მოსკოვის "დინამომ", მესამეზე - თბილისის "დინამო", მეოთხე ადგილზე - "ტორპედო".

ახალგაზრდა კომუნისტი 1.10.46